საქართველოს მთავრობის

დადგენილება №719

2020 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-11 მუხლის 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. უცხო ქვეყნიდან ჩამოსული პირი, გარდა ამ წესის 11^5 მუხლით გათვალისწინებული პირებისა, იზოლაციას (თვითიზოლაციას/კარანტინს) ექვემდებარება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა პირმა სასაზღვრო პუნქტებზე უნდა წარადგინოს საქართველოში ვიზიტამდე უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთი, რის შემდგომაც ექვემდებარება თვითიზოლაციაში გადასვლას 8 დღით, ხოლო თვითიზოლაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ექვემდებარება საკარანტინე სივრცეში გადასვლას;

ბ) PCR ტესტის არმქონე პირი ექვემდებარება თვითიზოლაციაში გადასვლას 12 დღით, ხოლო თვითიზოლაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ექვემდებარება საკარანტინე სივრცეში გადასვლას.“.

2. №3 დანართის („იზოლაციას დაქვემდებარებული პირის ინფორმირების ფორმა“) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების შეჩერების მიზნით, ქვეყანა, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ნაწილი, მიმართავს კანონმდებლობით განსაზღვრულ იზოლაციის (შემზღუდავ) ღონისძიებას (კარანტინს), რაც გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი გადაადგილებისა და განთავსების შეზღუდვას 8/12 დღის განმავლობაში, იზოლაციის პერიოდში (თვითიზოლაცია ან კარანტინი)“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**